

სს „საჩხერეგაზი“-ს ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-3-
2. ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-7-
2.2 მოგება-ზარალის ანგარიშგება	-8-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-9-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-10-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-11-
4. მმართველობითი ანგარიშგება.	-22-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საჩხერეგაზი“-ს დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საჩხერეგაზი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „საჩხერეგაზი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას

და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, სს „საჩხერეგაზი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საზოგადოების ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს სს „საჩხერეგაზი“-ს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს „საჩხერეგაზი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „საჩხერეგაზი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საზოგადოების ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს „საჩხერეგაზი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს სს „საჩხერეგაზი“ აღარ იყოს ფუნქციონირებადი საზოგადოება

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სს „საჩხერეგაზი“-ს ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად,

ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავეიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მასადაამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულება ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	68 725	29 450
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-
გადახდილი ავანსები	-	-
გაცემული სესხები	-	-
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	328 979	360 283
სავაჭრო მოთხოვნები	741 270	761 123
სხვა მიმდინარე აქტივები	16 467	14 513
საგადასახადო აქტივი	-	2 000
სულ მიმდინარე აქტივები	1 155 441	1 167 369
გრძელვადიანი აქტივები	14 582 154	14 957 522
არამატერიალური აქტივები	5 288	7 921
სულ გრძელვადიანი აქტივები	14 587 441	14 965 443
სულ აქტივები	15 742 883	16 132 812

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	532 300	508 525
მიღებული ავანსები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები	50 910	58 828
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	102 781	57 547
მიმდინარე ვალდებულებები	685 991	624 900
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	685 991	624 900

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი	18 851 477	18 850 651
გაუნაწილებელი მოგება	(3 794 585)	(3 342 739)
მთლიანი კაპიტალი	15 056 892	15 507 912
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	15 742 883	16 132 812

ხელმძღვანელობის სახელით:

ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი

ლალი ცუხიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	68 725	29 450
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-
გადახდილი ავანსები	-	-
გაცემული სესხები	-	-
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	328 979	360 283
სავაჭრო მოთხოვნები	741 270	761 123
სხვა მიმდინარე აქტივები	16 467	14 513
საგადასახადო აქტივი	-	2 000
სულ მიმდინარე აქტივები	1 155 441	1 167 369
გრძელვადიანი აქტივები	14 582 154	14 957 522
არამატერიალური აქტივები	5 288	7 921
სულ გრძელვადიანი აქტივები	14 587 441	14 965 443
სულ აქტივები	15 742 883	16 132 812
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	532 300	508 525
მიღებული ავანსები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები	50 910	58 828
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	102 781	57 547
მიმდინარე ვალდებულებები	685 991	624 900
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	685 991	624 900
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	18 851 477	18 850 651
გაუნაწილებელი მოგება	(3 794 585)	(3 342 739)
მთლიანი კაპიტალი	15 056 892	15 507 912
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	15 742 883	16 132 812

ხელმძღვანელობის სახელით

ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი



ლარი ცუხიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4 133 265 (2 861 694)	4 054 217 (2 859 688)
საერთო მოგება	1 271 571	1 194 529
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(984 512)	(900 280)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(39 281)	(117 140)
საკონსულტაციო ხარჯი	(7 972)	(8 340)
კომუნალური ხარჯი	(15 252)	(14 819)
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯი	(47 964)	(32 890)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(37 257)	(37 640)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	139 337	83 420
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(531 246)	(523 341)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)	(59 937)	10836
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(451 846)	(429 085)
მოგების გადასახადი	-	-

ხელმძღვანელობის სახელით:

ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი

ლალი ცუხიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	4 133 265	4 054 217
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 861 694)	(2 859 688)
საერთო მოგება	1 271 571	1 194 529
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(984 512)	(900 280)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(39 281)	(117 140)
საკონსულტაციო ხარჯი	(7 972)	(8 340)
კომუნალური ხარჯი	(15 252)	(14 819)
ავტომატური საექსპლუატაციო ხარჯი	(47 964)	(32 890)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(37 257)	(37 640)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	139 337	83 420
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(531 246)	(523 341)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)	(59 937)	10836
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(451 846)	(429 085)
მოგების გადასახადი	-	-

ხელმძღვანელობის სახელით:

გ. ს. ს. 
ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი


ლალი ცუხიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	35 667	(16 307)
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	4 872 242	-
გადახდილი კრედიტორული დავალიანებები	(3 662 505)	-
გადახდილი ხელფასები	(774 756)	-
გადახდილი გადასახადი	(396 500)	-
გადახდილი სხვა ხარჯები	(2 814)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	3608	-
გაცემული სესხი	-	-
მიღებული სესხი	-	-
ანაბარზე დარიცხული პროცენტი	3 608	-
გადახდილი დივიდენდი	-	-
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-	-
კონვერტაციის ხარჯი, შემოსავალი	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	39 275	(16 307)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	29 450	45 757
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	68 725	29 450

ხელმძღვანელობის სახელით:

ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი

ლალი ცუხიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	35 667	(16 307)
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	4 872 242	-
გადახდილი კრედიტორული დავალიანებები	(3 662 505)	-
გადახდილი ხელფასები	(774 756)	-
გადახდილი გადასახადი	(396 500)	-
გადახდილი სხვა ხარჯები	(2 814)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	3608	-
გაცემული სესხი	-	-
მიღებული სესხი	-	-
ანაზარზე დარიცხული პროცენტი	3 608	-
გადახდილი დივიდენდი	-	-
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-	-
კონვერტაციის ხარჯი, შემოსავალი	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	39 275	(16 307)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	29 450	45 757
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	68 725	29 450

ხელმძღვანელობის წახედით

ზაზო ზაბახიძე

გენერალური დირექტორი



ლალი ცუხიშვილი

ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
01 იანვარი, 2017	18 845 701	(2 913 654)	15 932 047
შენატანები კაპიტალში	4 950	-	4 950
პერიოდის შემოსავალი	-	(429 085)	(429 085)
31 დეკემბერი, 2017	18 850 651	(3 342 739)	15 507 912
შენატანები კაპიტალში	826	-	826
პერიოდის შემოსავალი	-	(451 846)	(451 846)
31 დეკემბერი, 2018	18 851 477	(3 794 585)	15 056 892

ხელმძღვანელობის სახელით:

ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი

ლალი ცუხიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
01 იანვარი, 2017	18 845 701	(2 913 654)	15 932 047
შენატანები კაპიტალში	4 950	-	4 950
პერიოდის შემოსავალი	-	(429 085)	(429 085)
31 დეკემბერი, 2017	18 850 651	(3 342 739)	15 507 912
შენატანები კაპიტალში	826	-	826
პერიოდის შემოსავალი	-	(451 846)	(451 846)
31 დეკემბერი, 2018	18 851 477	(3 794 585)	15 056 892

ხელმძღვანელობის სახელით:

ზაზო ზაბახიძე
გენერალური დირექტორი



ლალ ცუშიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია „საზოგადოების“ შესახებ.

სს „საჩხერეგაზი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის #288 დადგენილების შესაბამისად. იგი დაფუძნდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს საჩხერის რაიონული განყოფილების 1995 წლის 14 დეკემბრის #29 ბრძანების საფუძველზე, ხოლო სახელმწიფო რეგისტრაცია მომხდარია საჩხერის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 25 დეკემბერს (რეგ # 51/5-2). საიდენტიფიკაციო კოდის (ს/კ 239403392) მინიჭების თარიღია 2003 წლის 10 ოქტომბერი.

საზოგადოების დამფუძნებლებია:

1. სსიპ „თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი“ - 99,967572 %.
 2. 72 ფიზიკური პირი - 0,032428 %.
- ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს **18 851 477** ლარს.
 - საზოგადოების ხელმძღვანელია აქციონერთა კრება და გენერალური
 - დირექტორი. ორგანიზაციის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ #8.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება და განაწილება. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის განვითარების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის პროექტების დამუშავება და განხორციელება. ასევე, მას შეუძლია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „საზოგადოება“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სამუშაო ვალუტა

„საზოგადოების“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „საზოგადოება“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები არ ფიქსირდება.

3.1 ძირითადი საშუალებები

3.1.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.1.2 ცვეთა

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა

შენობები და მშენებლობები	10-დან 25 წლამდე
გაზის მილსადენები	5-დან 10 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 10 წლამდე
ავტომობილები	5-დან 20 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 5 წლამდე

3.1.3 აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

3.2 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით. სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების დაახლოებითი სასარგებლო გამოყენების ვადა არის 5 წელი, ხოლო საბუღალტრო პროგრამისთვის 10 წელი.

3.3 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს გაწეულ ხარჯებს მარაგების ყიდვისას და მათი ადგილზე მიტანისას. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

3.4.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

„კომპანია“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ფლობს გრძელვადიანი სესხის სახით არსებულ ფინანსურ აქტივს.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.4.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

შემდგომი შეფასება

სესხები და კრედიტები

მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (IRR) გამოყენებით.

ადიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების ადიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების ადიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების ადიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.4.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

3.5 გადასახადები

3.5.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.6 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

3.6.1 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და

გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

ბუნებრივი აირის გაყიდვების ტარიფებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც განისაზღვრება დამტკიცებული მეთოდოლოგიით.

შემოსავალი გაყიდვებიდან	2018	2017
ბუნებრივი გაზის მიწოდებიდან	3 836 672	3 836 060
ბუნებრივი აირის გატარებიდან	150 219	112 009
სამონტაჟო და საპროექტო სამუშაოებიდან	139 468	91 737
სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები	6 906	14 411
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	4 133 265	4 054 217

3.7 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

5 ბუნებრივი აირის დანაკარგები

ბუნებრივი გაზის გამანაწილებელთათვის სემეკი ადგენს ქსელზე დანაკარგების ნორმას საანგარიშო წლისათვის აღნიშნული ნორმა შეადგენდა 2,34 %-ს. ფაქტობრივი დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას ნებისმიერ მოცემულ თვეში „კომპანიის“ მიერ მიღებულ რაოდენობასა და „კომპანიის“ მომხმარებლებისთვის განსაზღვრულ თვეში დარიცხულ ბ/გაზის რაოდენობას შორის. თუ ფაქტობრივი დანაკარგები აღემატება დანაკარგების მისაღებ დონეს, საგადასახადო კოდექსი მოითხოვს დამატებითი დანაკარგების დისკონტირების ასახვას დაბეგვრის მიზნებისათვის. ამგვარად, სსკ-ის თანახმად, ნებისმიერი სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და დანაკარგების მისაღებ დონეს შორის განიხილება, როგორც „კომპანიის“ მიერ განხორციელებული დასაბეგრი მიწოდება. „კომპანიის“ საშუალო წლიურმა დანაკარგებმა 2018 წელს - 2,1 % შეადგინა. რაც, წლიურად, ნორმით დადგენილზე ნაკლებია.

6 ძირითადი საშუალებები

	მიწა, შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებე ლი მშენებლობა და დაუდგმელი მოწყობილობები	მანქანა დანადგარ ები	სულ
31 დეკემბერი 2017 წმინდა საბალანსო ღირებულება	14 537 371	24 032	65 086	70 546	260 487	14 957 522
						-
31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება	14 121 108	21 590	51 523	88 320	299 613	14 582 153

7 არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
31 დეკემბერი 2017 წმინდა საბალანსო ღირებულება	7 921
31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება	5288

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

8 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2018	2017
საყოფაცხოვრებო სექტორი	277 601	273 102
კომერციული და სამრეწველო სექტორი	457 000	450 021
სხვა დებიტორული დავალიანება	6 669	38 000
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	741 270	761 123

9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2018	2017
ძირითადი სასაქონლო-მატერიალური მარაგები	307 486	341 086
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	21 493	19 197
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	328 979	360 283

10 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	68725	29450
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივ.	68725	29450

11 კაპიტალი

	2018	2017
საწესდებო კაპიტალი	18 851 477	18 850 651

12 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2018	2017
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	532 300	508 525
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები	50 910	58 828
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	102 781	57 547
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	685 991	624 900

13 ფინანსური რისკების მართვა

„კომპანია“ განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), საოპერაციო და იურიდიული რისკების ჩათვლით. „კომპანია“ განაგრძობს თავისი ფუნქციების შემუშავებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. „კომპანიის“ მიერ დღეისათვის მიღებული ზომები, მათ შორის ვალდებულებების ზრდის ტრენდის შეჩერების ნაწილში, მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

(ა) საკრედიტო რისკი

„კომპანიას“ არ გააჩნია საკრედიტო რისკი. ფინანსური აქტივები ძირითადად, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული

დავალიანების, სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთების (როგორც დებიტორებთან, ისე საკუთარ საწყობებში) ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „კომპანიას“ არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი

14 საბაზრო რისკი

„კომპანიაზე“ მინიმალურად მოქმედებს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად, შეეხება „კომპანიისათვის“ დადგენილ შესასყიდ ფასებს და კონტრაგენტებისათვის მისაწოდებელი საქონლის ფასებს, მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ აქტიურად მონაწილეობს ამ ფასების დადგენაში, მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება.

15 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით. კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართავს რეალურ ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება კომპანიის ფინანსების მიხედვით.

16 პირობითი ვალდებულებები

ოპერაციული საქმიანობის პირობებში „კომპანიას“ 2017 და 2018 წელს არ გააჩნია რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელები, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე _____

დავალიანების, სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთების (როგორც დებიტორებთან, ისე საკუთარ საწყობებში) ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „კომპანია“ არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი

14 საბაზრო რისკი

„კომპანიაზე“ მინიმალურად მოქმედებს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად, შეეხება „კომპანიისათვის“ დადგენილ შესასყიდ ფასებს და კონტრაგენტებისათვის მისაწოდებელი საქონლის ფასებს, მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ აქტიურად მონაწილეობს ამ ფასების დადგენაში, მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება.

15 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით. კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართავს რეალურ ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება კომპანიის ფინანსების მიხედვით.

16 პირობითი ვალდებულებები

ოპერაციული საქმიანობის პირობებში „კომპანია“ 2017 და 2018 წელს არ გააჩნია რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელები, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე



**სს „საჩხერეგაზი“-ს
მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა
2018 წელი**

სს „საჩხერეგაზი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 25 დეკემბერს, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ საჩხერე თამარ მეფის ქ., ჩიხი #8. სს „საჩხერეგაზის“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია: საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდება; მილსადენებით ბუნებრივი გაზის განაწილება/გატარება; გაზიფიკაციის საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების წარმოება, რომელიც ამ საქმიანობასთან ასოცირდება, ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც ნებადართულია კანონმდებლობით. საწარმომ ძირითადი პროფილით საქმიანობა, ობიექტური მიზეზებით, იძულებით შეაჩერა 1994 წლიდან 2003 წლამდე. 2003 წლის დასაწყისში საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაქვემდებარებული ასოციაცია „ატუ“ დაინტერესდა საზოგადოების ფუნქციონირების აღდგენით და საჩხერის მუნიციპალიტეტის გაზიფიკაციის გრძელვადიანი პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2012 წლამდე გაგრძელდა საწარმომ განუმეორებელ შედეგებს მიაღწია. დღეის მდგომარეობით საჩხერის მუნიციპალიტეტი თითქმის მთლიანად გაზიფიცირებულია. სახეზეა 647 კმ გარე გამანაწილებელი ქსელი, 16000-ზე მეტი საყოფაცხოვრებო და 350-ზე მეტი არასაყოფაცხოვრებო აბონენტი.

საქმიანობის ანგარიში:

საზოგადოების მართვა

სს „საჩხერეგაზის“ ძირითადი აქციონერია სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი, რომელიც ფლობს სს-ის აქციათა 99,98 %. საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს საერთო კრება წარმოადგენს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების

მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად ერთპიროვნული ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს გენერალური დირექტორი. საზოგადოების სადამფუძნებლო კრების გადაწყვეტილებით 1995 წლის 21 დეკემბერს გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა ზაზო ზაბახიძე (პ.ნ.38001004997) საქართველოს მოქალაქე.

მართვის სტრუქტურა

გენერალური დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია საწარმოს სტრუქტურა და საშტატო განრიგი, საწარმოს შინაგანაწესი. შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია დასაქმებულთა მიერ საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, დასაქმებულთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით განსაზღვრულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა. საწარმოს თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული და საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულისა და დამსაქმებლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ნულოვანი მოხმარების მქონე აბონენტების რაოდენობის შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- ტექნიკისა და ტექნოლოგიების სრულყოფა და ახლის შეძენა;
- საწარმოში ინოვაციური პროექტების წახალისება და დანერგვა.

მიმდინარე გეგმები

საზოგადოება გეგმავს:

- განაგრძოს საკუთარი გაზის მეურნეობის უსაფრთხო ექსპლუატაცია.
- განაგრძოს ძალისხმევა ბუნებრივი გაზის დანაკარგების შესამცირებლად.
- შეინარჩუნოს და განავითაროს საკადრო რესურსი.

- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციას ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით და თავისდროული მიმდინარე შეკეთებით;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლებას;

საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის აქტივებს საწარმოში

კომპანიის ღირებულებები

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურეთ თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

რისკების მართვა

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციისათვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:

- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (კვარტალური, წლიური) ინვენტარიზაცია.
- ავტომატური საწვავის ავზებში დაყენებულია სპეციალური ჩიპები, რითაც კონტროლდება საწვავის წვის და ავტომატური მოძრაობა.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში მუდმივად გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

როგორც დარგის ყველა საწარმოსათვის, საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამახასიათებელია შემდეგი სახის რისკები:

- ქსელში ბუნებრივი გაზის დანაკარგები;
- გამანაწილებელი ქსელის უსაფრთხო ექსპლუატაცია.
- მომხმარებელთა საკუთრებაში მყოფი ქსელებისა და დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- შრომის უსაფრთხოება.

ძირითად აქციონერთან (სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის ანგარიში

ძირითად აქციონერთან საწარმოს ურთიერთობა საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად რეგულარულად და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს. საწარმოს წესდების, შრომის შინაგანაწესის, საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ აქციონერის პერიოდული ინფორმირებით და ასევე წლიური ანგარიშების განხილვით. სააქციო საზოგადოება, მისი 50 %-ზე მეტი წილის/აქციების მუნიციპალური მფლობელობიდან გამომდინარე, ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონს. ნებისმიერი სახის მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობა შეძენილია ერთპირთან მოლაპარაკებით, გამარტივებული ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.

სემეკთან ურთიერთობის ანგარიში

სააქციო საზოგადოებაში ფასწარმოქმნის, ზოგიერთი ტექნიკური რეგლამენტაციის, მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფა ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მეშვეობით. რიგი გამოწვევების

და ფაქტიურად არსებული მდგომარეობებიდან გამომდინარე, 2018 წლის 23 მარტს კომპანიამ სემეკ-ში შეიტანა განაცხადი ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ტარიფის გადანგარიშების შესახებ, ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა და სემეკ-ის მხრიდან დაადგინდა კომპანიისათვის ახალი განაწილების და მიწოდების ტარიფი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის. მუდმივი კოორდინაცია სემეკის შესაბამის სტრუქტურებთან, წლიური (აუდირებული) და კვარტალური ანგარიშგება, მონიტორინგი, სინქრონულად ხორციელდება.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე _____

და ფაქტიურად არსებული მდგომარეობებიდან გამომდინარე, 2018 წლის 23 მარტს კომპანიამ სემეკ-ში შეიტანა განაცხადი ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ტარიფის გადანგარიშების შესახებ, ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა და სემეკ-ის მხრიდან დაადგინდა კომპანიისათვის ახალი განაწილების და მიწოდების ტარიფი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის. მუდმივი კოორდინაცია სემეკის შესაბამის სტრუქტურებთან, წლიური (აუდირებული) და კვარტალური ანგარიშგება, მონიტორინგი, სინქრონულად ხორციელდება.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

8. 